

ეკლესია „ღმერთის საელჩო“

„ღმერთის საელჩო“ ქარიზმატული პროტესტანტული ეკლესიაა. იგი დაარსა პასტორმა სანდი ადელაჯამ 1994წელს. დაარსებიდან 24 წლის განმავლობაში ეკლესია „ღმერთის საელჩო“ გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ქარიზმატულ ეკლესიად ევროპაში. მათ 45 ქვეყანაში 600-ზე მეტი ეკლესია დაარსეს.

1994 წლის 6 თებერვალს კიევში, ერთ-ერთ ბინაში შეიკრიბა სალოცავად 7 კაცი. ისინი ვერ წარმოიდგენდნენ იმას, რომ საფუძველს ჩაუყრიდნენ ევროპაში ყველაზე დიდ პროტესტანტულ ეკლესიას. ასე დაარსდა ეკლესია „რწმენის სიტყვა“, რომელიც 10 წლის შემდეგ გადაიქცა 20,000 ეკლესიად.

1994 წლის 12 სექტემბერს ეკლესიამ ოფიციალურად გაიარა რეგისტრაცია კიევის საქალაქო ადმინისტრაციაში. ეკლესიის წევრთა ღრმა რწმენით, ღმერთი ჩვენს დროშიც არჩევს ძლიერ ლიდერებს და წარავლენს მათ მთელ ქვეყანაზე საქადაგოდ. ასეთ ლიდერს წარმოადგენს ამ ეკლესიის დამარსებელი ნიგერიელი სანდი ადელაჯა, რომელიც უკრაინაში ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად მიიჩნევა. ქარიზმატები, გარკვეულ წილად, ეყრდნობიან კალვინის სწავლებას ადამიანთა გამორჩევის შესახებ, რაც ცხოვრებაში ამ ადამიანის წარმატებამ უნდა დაადასტუროს. მათი სწავლებით, “შემოსავალი წარმოადგენს მორწმუნე ადამიანის შრომის ღვთისკურთხეულობის ხილულ გამოხატულებას“. მათი მოძრაობის წევრთა ცხოვრებაში თითქმის ყველა სფერო მკაცრად რეგლამინტირებულია პასტორ ადელაჯას მიერ დაწერილი წიგნებით.

საქართველოში ეკლესია „ღმერთის საელჩო“ არსებობს 1994 წელს იწყებს. ეკლესია მცირერიცხოვანია, მას მხოლოდ 50-მდე წევრი ჰყავს. რეგიონებში არ არიან წარმოდგენილნი. დარეგისტრირებულნი არიან როგორც კავშირი 2004 წელს.